განათლება მდგრადი განვითარებისთვის - რესურსების შექმნა და დანერგვა

ნინო ლომიძე

თამარ ლაბაძე

მარი კუპრეიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები)

აკადემიური ხელმძღვანელი: მარიკა კაპანაძე, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ დობორჯგინიძე, ქალაქ თბილისის ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ლომიძე

თამარ ლაბაძე

მარი კუპრეიშვილი

თარიღი: 23.06.2025

აბსტრაქტი

დღევანდელ მსოფლიოში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოსწავლეებისთვის ისეთი განათლების მიღება, რომელიც მათ მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრებასა და პრაქტიკაში გამოყენებას შეუწყობს ხელს. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიმართ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება რესურსების შექმნა-დანერგვით ბუნებისმეტყველების სწავლებისას. კვლევა ჩატარდა ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში, მე-6 კლასში. მონაცემები შეგროვდა ინტერვიუს, ფოკუსჯგუფებისა და დაკვირვებების გზით. კვლევის შედეგად მოსწავლეებში გაიზარდა ცნობიერების დონე მდგრადი განვითარების მიმართ და ჩამოუყალიბდათ პასუხისმგებლობა და ღირებულებები გარემოს მიმართ. ასევე, მოსწავლეებს განუვითარდათ კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის და თანამშრომლობის უნარები. კვლევა ადასტურებს, რომ მდგრადი განვითარებისთვის განათლების ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებას და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: განათლება მდგრადი განვითარებისთვის, რესურსები, ცნობიერების ამაღლება, პასუხისმგებლობა, ღირებულებები.

The text of the abstract in English

In today's world, it is crucial for students to receive an education that helps them understand and apply the principles of sustainable development. The aim of this study is to raise students' awareness of sustainable development by creating and implementing resources in natural science education. The research was conducted in the 6th grade at Buckswood

International School. Data was collected through interviews, focus groups, and observations. As a result of the study, students' awareness of sustainable development increased, and they developed a sense of responsibility and values toward the environment. Additionally, students enhanced their critical thinking, creativity, and collaboration skills. The study confirms that integrating education for sustainable development promotes students' awareness and supports the development of skills related to sustainable development.

Keywords: education for sustainable development, resources, awareness-raising, responsibility, values.

მადლობა

გვსურს გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ ყველა ადამიანს, ვინც თავისი აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით შეუწყო ხელი ჩვენი კვლევის პროცესის წარმატებით განხორციელებას.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით ქალაქ თბილისის ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაციასა და სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელს, ქალბატონ თამარ დობორჯგინიძეს, კვლევაში მონაწილეობისა და თითოეულ ეტაპზე ჩვენი საქმიანობის მხარდაჭერისთვის.

განსაკუთრებით გამოვყოფთ პრაქტიკის ხელმძღვანელის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონ მარიკა კაპანაძის წვლილს - კვლევის პროცესში წარმოშობილი გამოწვევების დროული შეფასების, შესაბამისი რეკომენდაციების მოწოდებისა და მუდმივი თანამონაწილეობისთვის.

ამ თანამშრომლობამ საშუალება მოგვცა, უკეთესად დაგვეგეგმა კვლევის ყველა ეტაპი, განგვეხორციელებინა დაკვირვება და გაგვეკეთებინა მყარი, სანდო ანალიზი.

მიგვაჩნია, რომ ამ პროცესმა არა მხოლოდ ჩვენი კვლევითი უნარების გაძლიერებას შეუწყო ხელი, არამედ პროფესიულ განვითარებაშიც დაგვეხმარა.